ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/
Akhali Ganatleba

№40 (914) გაზეთის 1998 წლიდან

24.12.2020

წინასაახალწლოდ, ალბათ, უფრო სასურველი იქნებოდა მხოლოდ დადებით ემოციებზე აგებული თემის ინიცირება, მაგრამ, საბნუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, საგანგებოდ საახალწლო განწყობის შექმნას, ვამჯობინე, ორი სიტყვით იმ რეალობას შევეხო, რომელშიც დღეს მასწავლებელსა და მოსწავლეს უწევს ყოფნა და ეს რეალობა არის თავსატეხად ქცეული ონლაინ გაკვეთილები, რომელიც ბევრი მოსწავლისთვის უბრალოდ ხელმისაწვდომი არ არის – მიზეზი ინტერნეტის და ტექნიკური მონყობილობის არქონაა. ბევრისთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ მხოლოდ ხელმისაწვდომობა რომ ხარისხიანი განათლებისთვის საკმარისი არ არის, ეს ცხადზე ცხადია. ხარისხიანი განათლება იქით იყოს და, ზოგადად, სისტემა რომ მასწავლებლების მხრებზე დგას, ეს კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა კოვიდ პანდემიამ. დღეს, როგორც არასდროს, განათლების სისტემის ყველაზე ძლიერ და ნამყვან ძალად მასწავლებელი გამოიკვეთა, რომელსაც, ახლა, კიდევ ერთი საზრუნავი დაემატა – როგორმე გადაარჩინოს საკუთარი მოსწავლე ან მოსწავლეები განათლების მილმა დარჩენას და მეტიც, გადაარჩინოს სისტემა! მერე რა, რომ ამას ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასადაც კი სთხოვენ, მერე რა, რომ მოსწავლეებისთვის მეგაბაიტების შესაძენად იებს ახარებს და მერე ყიდის... სამაგიეროდ, მან თავისი მოსწავლე უნდა ჩართოს სასწავლო პროცესში (მერედა როგორ გაუმართლა ამ მოსწავლეს/მოსწავლეებს ასეთი მასწავლებლის ხელში), სკოლა გადაარჩინოს, საბოლოო ჯამში კი, სისტემა უნდა გადაარჩინოს!

ამ რთული მისიის შესრულებაში თითოეულმა მასწავლებელმა და სკოლამ თქვენ გვერდით გვიგულეთ, მხოლოდ, როგორც ხედავთ და იცით, ხმაურიანი გვერდში დგომა ჩვენ არ გვჩვევია – მოჩვენებით და ხმაურის გამოსაწვევად დანერილ თუნდაც ერთ „კრიტიკულ“ ნერილს ვამჯობინებთ ჩვენი მკითხველის, პირველ რიგში კი, თქვენი, მასწავლებლების, საჭიროებებზე გულნრფელ და პროფესიონალურ რეაგირებას. 22-ნლიანი ისტორიაც სნორედ ასეთმა, არ მომერიდება ამის თქმა, აკადემიურმა სტილმა განაპირობა და არა რეიტინგულმა ხმაურმა.

ბუნებრივია, ახალი ნლის მილოცვისა და მადლობის გარეშე ვერც ეს ნელი ჩაივლის. ჰოდა, მადლობას გიხდით ჩვენო ხელმომწერებო და მკითხველებო მრავალნლიანი ერთგულებისთვის, კიდევ ერთი ნლის თანამშრომლობისთვის და დამდეგ ახალ ნელს გილოცავთ!

ძალიან რთული ნელინადის მიუხედავად, რომელიც, უმეტესნილად, არატრადიციულ ფორმატში ნარიმართა, ჩვენი თანამშრომლობა მაინც შედგა. ვაფასებთ, რომ გაგებით მოეკიდეთ ამ ყველაფერს და ბოდიშს გიხდით იმ შეფერხებისთვის, რაც ფორს-მაჟორული სიტუაციის თან ახლდა. იმედია, ყველაფერი გადაივლის, ქვეყანა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, ჩვენი ტრადიციული თანამშრომლობა კი, 2021 ნელს კიდევ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახდება. ჩვენს მთავარ პრიორიტეტად, ბუნებრივია, ისევ დარჩება ქართული საგანმანათლებლო სივრცის პრობლემებისა და მიღნევების გაშუქება, პედაგოგების საჭიროებების გათვალისწინება, მოსწავლეებისა და სტუდენტების მხარდაჭერა. თქვენს პროფესიულ განვითარებაში შეტანილი ნვლილი ჩვენთვის, დღემდე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღნევაა. ასეთივე როლი გვინდა შევასრულოთ არაქართულენოვანი მასწავლებლების კარიერულ წინსვლაშიც, ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლებისთვის ერთადერთ ნყაროდ ვრჩებით – მშობლიურ ენაზე მიიღონ და გამოაქვეყნონ მათთვის ძალიან საჭირო ინფორმაცია და მეთოდური ნერილები კოლეგების დასახმარებლად.

ამ წლის ბოლო ნომერი 24 დეკემბერს გამოვა, 2021 ნელს, ბევრი სიახლით დაგიბრუნდებით, საამომავლო გეგმებში კი, თქვენ უპირველესი ადგილი გიჭირავთ.

თქვენი მხარდაჭერა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია.

ბედნიერ ნელს გისურვებთ!

„ახალი განათლების“ რედაქტორი ლალი ჯელაძე

რას ეფუძნება გადაწყვეტილება?!

ლალი ჯელაძე

25 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორმა, მიმოზა ღოლეჯაშვილმა (ახლა უკვე ყოფილმა დირექტორმა), სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვრცელი სტატუსი, რომელიც მის ექვსწლიან მოღვაწეობას შეეხო - რა გაკეთდა ხიდისთავის საჯარო სკოლაში მისი დირექტორობის პერიოდში. გთავაზობთ ამ სტატუსს უცვლელად, რადგან საზოგადოებას კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ განთავისუფლებული დირექტორის საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც, რა თქმა უნდა, დაუღალავი შრომის, პროფესიონალიზმისა და და მონდომების შედეგია. თუმცა, როგორც ჩანს, დირექტორობის უფლებამოსილების შეწყვეტისას, ასეთ შედეგებს სამინისტრო ნაკლებად ითვალისწინებს, რადგან ქალბატონი მიმოზა იმ დირექტორების სიაში აღმოჩნდა, რომელებსაც მოვალეობის შემსრულებლად მუშაობის უფლება არ მიეცათ. მაშინ, რას ეფუძნება გადაწყვეტილება - რომელი დირექტორი გააგრძელებს მოვალეობის შესრულებას და რომელი არა, ამაზე, ცოტა მოგვიანებით, თავად მიმოზა ღოლეჯაშვილთან ვისაუბრებთ, მანამდე კი უცვლელად გთავაზობთ 25 ნოემბერს დაწერილ სტატუსს.

„მინდა მოკლედ გითხრათ, რისი გაკეთება შევძელით, ყველამ ერთად, 6 წლის განმავლობაში:
მაღალკვალიფიციური და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული კადრი არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე:
➪ *2020 წლის მონაცემებით, სკოლაში 1 მენტორია, 5 წამყვანი (1 მასწავლებელი წამყვანის სტატუსის მოლოდინშია), 24 უფროსია, ხოლო 2 პრაქტიკოსი მასწავლებელია;*
➪ *2017 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინალისტია ჩვენი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი თეა ნონიკაშვილი, რომელიც, ასევე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, 2019 წლის საუკეთესო ბიოლოგიის მასწავლებლად დასახელდა, საქართველოს მასშტაბით;*
➪ *2019 წლის საუკეთესო ქიმიის მასწავლებლის ფინალისტთა შორის დასახელდა ჩვენი სკოლის ქიმიის მასწავლებელი თამარ მაისურაძე;*
➪ *დაწყებითი კლასების მასწავლებელი თეა საძაგლიშვილი ამაგდარი მასწავლებლის წოდების მფლობელია,რომელმაც ევროპის ფორუმზე (ქ. ლისაბონში), ნომინაციაში „ყველაზე ინოვაციური პროექტები“ მესამე ადგილი დაიკავა;*
➪ *2016 წელს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო „MILLENIUM“-ის მიერ, სკოლა სრულად იქნა რეაბილიტირებული (ამერიკელი ხალხის დახმარებით) და ამჟამად, სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, კომფორტული და დაცული გარემო;*
➪ *სკოლას აქვს უმაღლესი დონის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე:*
♦ *სპორტ დარბაზი;*
♦ *კეთილმოწყობილი რეკრეაციული ზონები სამივე სართულზე;*
♦ *კლასები აღჭურვილია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მორგებული ინდივიდუალური ავეჯით;*
♦ *უმაღლესი დონის ტექნოლოგიების ლაბორატორია – 32 პერსონალური კომპიუტერი, 10 ნოუთბუქი, 8 პროექტორი, 2 „ჭკვიანი დაფა“;*
♦ *სკოლის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება უკაბელო ინტერნეტი;*
➪ *6 წლის განმავლობაში, სკოლა დაამთავრა 29 მედალოსანმა;*
➪ *„ჩემი პირველი კომპიუტერი“ საჩუქრად მიიღო 40-მდე მოსწავლემ;*
➪ *ამ ხნის მანძილზე „მშვიდობის კორპუსის“ 6 მოხალისეს ვუმასპინძლეთ, რამაც სკოლას დიდი გამოცდილება შესძინა;*
➪ *მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, მესამე წელია, სკოლაში შექმნილია „მხარდამჭერ მშობელთა კლუბი“ და, მათთან ერთად, უამრავი პროექტი განხორციელდა;*
➪ *სამი წელია, სკოლის თვითმმართველობის და მშობელთა ინიციატივით, ტარდება გამოფენა-გაყიდვა:*
♦ *2018 წელი: დავეხმარეთ 5 გაჭირვებულ ოჯახს წინასაახალწლოდ;*
♦ *2019 წელი: დავეხმარეთ 5 ავადმყოფ ბავშვს;*
♦ *2020 წელი: სოციალურად დაუცველი 20 მოსწავლის ოჯახი ინტერნეტით აღჭურვის მოლოდინშია (ჩვენგან დამოუკიდებელი შეფერხების მიუხედავად, აუცილებლად შევძლებთ);*
➪ *2016 წელს ჩემი, როგორც სკოლის ლიდერის და დირექტორის, ინიციატივითა და ხელშეწყობით, ჩვენი სკოლა ჩაერთო დაწყებითი განათლების პროექტ G-PRIED-ში, რომლის მთავარი მიზანი დაწყებით კლასებში კითხვისა და მათემატიკის უნარ-ჩვევების განვითარება, სწავლა-სწავლებაში ინოვაციების ხელშეწყობაა;*
➪ *მოსწავლეთა დაინტერესება პროფესიული განათლების მიმართულებით და მემორანდუმი ქ. გორის პროფესიულ კოლეჯ „განთიადთან“. პროექტში ჩართულები არიან მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეები: 2017 წელს მათ შეისწავლეს სანტექნიკის, 2018 წელს - ჭრა-კერვის, 2019 წელს - სტილისტობის პროფესიის მნიშვნელოვანი და ძირითადი ელემენტები. სკოლა აღიჭურვა საჭირო ხელსაწყოებითა და მასალებით.(პროექტი დღემდე მდგრადია);*
➪ *არაფორმალური განათლების გაძლიერება და ამ მიმართულებით სკოლაში პროექტებით სწავლების დანერგვა STEM-ის საგნებში, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას. ყოველწლიურად, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ირჩევენ ბიოლოგიის, ქიმიკოსის, ექიმის პროფესიას;*
➪ *ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა არაფორმალური კლუბები: „ბიო კლუბი“, „ჯანსაღი ცხოვრების კლუბი“, „ფიზიკის კლუბი“, „ქიმიის კლუბი“. ვთანამშრომლობთ მეზობელ სკოლებთან, ვუზიარებთ გამოცდილებას;*
➪ *არაფორმალურ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის – ორგანიზაცია „აფხაზეთთან“ თანამშრომლობით, ვმონაწილეობდით კონფერენციებში, სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონკურსებში;*
➪ *შექმნილია კლუბი #იკითხეთბევრი;*
➪ *კოალიციის „განათლება ყველასათვის-საქართველო“ მიერ, საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის განვითარებისა და გაზიარების მიზნით, გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (17460 ლარი), რომელიც მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2017 წლის საუკეთესო ათეულისთვის გამოცხადდა, გამარჯვება მოიპოვა ხიდისთავის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა, თეა ნონიკაშვილმა პროექტით - „გახდი აღმომჩენი“. პროექტში ჩართული იყვნენ ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები, ატენის, ქვახვრელისა და უფლისციხის სკოლები, ასევე, საზღვრისპირა სოფლების სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები;*
➪ *ორგანიზაცია CENN-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ორჯერ მოვიპოვეთ პირველი ადგილი, საქართველოს მასშტაბით:*
♦ *2018 წელს - 2500კგ მაკულატურა;*
♦ *2019 წელს - 3000კგ მაკულატურა.*
გამარჯვებული 10 მოსწავლე დაჯილდოვდა „მწვანე ბანაკის“ სასწავლო-შემეცნებითი საგზურით, სადაც მოსწავლეებმა არაფორმალურ გარემოში, აიმაღლეს ცოდნა ნარჩენების გადამუშავების, დახარისხების, გამოყენების კუთხით. სკოლას საჩუქრად გადმოეცა წიგნების მაღაზია „ბიბლუსის“ სასაჩუქრე ბარათები, რომელიც გამოვიყენეთ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გასამდიდრებლად. პროექტი მდგრადია, სკოლაში განლაგებულია სპეციალური ყუთები მაკულატურისთვის და სისტემატურად ხდება შეგროვება;
➪ *2018 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - #მოვუაროთსკოლას, რომლის მიზანი იყო საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის, სკოლაზე ზრუნვის, მისი დასუფთავების, მოწესრიგებისა და მოვლის პასუხისმგელობის გაზიარება, ამ მიმართულებით, საქართველოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გავრცობა-პოპულარიზაცია. კონკურსში ჩვენ მიერ წარმოდგენილმა სკოლის მოვლა-პატრონობის კონცეფციამ და განხორციელებულმა აქტივობებმა პირველი ადგილი და საჩუქრად „ჭკვიანი დაფა“ მოგვიტანა;*
➪ *სკოლა აქტიურად იყო ჩართული „თავისუფალი გაკვეთილების პროგრამაში“, რომელიც ხორციელდებოდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში, ჩამოყალიბდა კლუბები: „კინო სკოლაში“, „ვირჩევ სიმღერას“, „ჩემი სკოლის ეზო“ და „მინი-ფეხბურთის კლუბი“, რომლებიც დღემდე მდგრადია;*
➪ *სკოლა არის პროექტის - „ახალი სკოლის მოდელის“ განმახორციელებელი, რაც გულისხმობს სკოლის ავტონომიურ ქმედებას, საჭიროებების გათვალისწინებით სასკოლო კურიკულუმის შექმნას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;*

ჩემი ხიდისთავის სკოლა, ჩემი მშობლიური სახლია... ჩემთვის ესაა ადგილი, სადაც უყვართ და იღებენ ბავშვს, მიუხედავად მისი ქცევისა და აკადემიური მოსწრებისა... ესაა ადგილი, სადაც სიკეთის კეთებას, სიყვარულსა და ადამიანობას სწავლობენ... ესაა ადგილი, სადაც დაცულია სიტყვის თავისუფლება... და ესაა საყვარელი ადგილი ყველასათვის...

P.S. სულ მცირედი წვლილი თუ მაინც მიმიძღვის ხიდისთავის საჯარო სკოლის წარმატებებში, ბედნიერი ვარ და მადლობა ამ 6 წლისთვის ყველას:
ჩემს უსაყვარლეს მოსწავლეებს და ყველაზე ერთგულ მშობლებს!
ჩემს უმაგრეს გუნდს!
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ინფრასტრუქტურის სააგენტოს;
გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;
ათასწლეულის გამოწვევის ფონდ-საქართველოს;
განათლება ყველასათვის - საქართველოს;
არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთს“;
მშობლები განათლებისთვის Parents for Education;
სამოქალაქო განათლება ყველასთვის;
ორგანიზაცია CENN-ს;
პროფესიულ კოლეჯს „განთიადი“;
პარტნიორ სკოლებს - ატენის, უფლისციხის, ქვახვრელის საჯარო სკოლებს;
მადლობა ჩემს თემს, ჩემს ხიდისთაველებს მუდმივი მხარდაჭერისთვის!
და კიდევ, ჩვენთან კედლებიც „ლაპარაკობენ“ და ძალიან საინტერესო ამბებს ყვებიან.“

დღემდე გაურკვეველია, რას იკვლევდნენ ან რა გამოიკვლიეს

– ქალბატონო მიმოზა, ამდენი წარმატების მიუხედავად, თქვენ აღმოჩნდით, ასე ვთქვათ, არაპრივილეგირებულ დრექტორთა ჩამონათვალში - გორის მუნიციპალიტეტის 40 დირექტორიდან, რომლებსაც ვადის გასვლის გამო უფლებამოსილება შეუჩერდათ, 34 დირექტორი გადანიშნეს და აგრძელებენ დირექტორის მოვალეობის შესრულებას, 6 დირექტორს, მათ შორის თქვენ, სამინისტრომ ეს შესაძლებლობა არ მოგცათ. როგორ აფასებთ მოვლენებს, რა გახდა იმის საფუძველი, რომ თქვენ და დანარჩენმა დირექტორებმა ისე დატოვეთ დაკავებული თანამდებობა, რომ სამინისტროდან ამის შესახებ არანაირი განმარტება არ მიგიღიათ. რას ფიქრობთ, რატომ არ დაინიშნეთ მოვალეობის შემსრულებლად?

– როგორც თქვენ ახსენეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში შემავალი 40 სკოლის დირექტორს, კანონმდებლობით, ამოეწურა 6-წლიანი ხელშეკრულების ვადა. შესაბამისად, სამინისტროში გავაგზავნეთ განცხადება მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანასთან დაკავშირებით. 40-დან 34-მა დირექტორმა სამ დღეში მიიღო პასუხი, რომ ყოველგვარი კვლევა-ძიებისა და ახსნა-განმარტების გარეშე გააგრძელებდნენ დირექტორის მოვალეობის შესრულებას. დანარჩენებს, ანუ 6 დირექტორს ზუსტად ერთი თვე და 3 დღე დაგვჭირდა პასუხის ლოდინი. ამ დროის გასვლის შემდეგ კი მივიღეთ პასუხი, სადაც ეწერა, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ პედაგოგიური მოღვაწეობა და მონაწილეობა მივიღოთ დირექტორების კონკურსში, როცა გამოცხადდება. მაგრამ რატომ, რა გახდა ამის მიზეზი, ამაზე არავინ არაფერი გვითხრა. ეს იყო შოკი, რადგან ამის არანაირი პირობა არ არსებობდა, რაღაც წინაპირობა ხომ უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად დისკრეციული უფლება გამოეყენებინათ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თავის დროზე კანონში დისკრეციული უფლების გამოყენება არასწორად იყო ჩადებული იმიტომ, რომ ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს, როცა მას სამსახურიდან უშვებ, არგუმენტირებულად იცოდეს მიზეზი, საფუძველი, თუნდაც, სუფთა ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გამოიყენა სამინისტრომ დისკრეციული უფლება ჩემთან მიმართებაში. გაუგებარია, რადგან ამის წინაპირობა არ არსებობდა. თქვენ რომ წაიკითხოთ ჩემი დირექტორობის პერიოდის საქმიანობის მოკლე ანგარიში, რომელიც სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე, ამაში დამეთანხმებით. გულწრფელად გეტყვით, 6-წლიანი შრომის სრულყოფილად წარმოჩენა ამ ანგარიშშიც სრულად ვერ შევძელი, კიდევ უამრავი აქტივობა და შრომაა ამ ანგარიშის მიღმა, რომელიც

მწვავე თემა

ჩემს გუნდთან და მოსწავლეებთან ერთად გავწიე. როცა ასეთი წინაპირობაა, როცა გაქვს უმაღლესი შეფასება და კმაყოფილი გყავს სასკოლო საზოგადოება – მუშაობ მათთვის და შენთვის პრიორიტეტი, პირველ რიგში, არის მოსწავლე, ბუნებრივია, ასეთ გადაწყვეტილებას არც ელი და ვერც ეგუები. ხიდისთავის სკოლაში, ჩემი დირექტორობის პერიოდში, შექმნილი იყო გარემო, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად ახდენდნენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, მათი ინტერესები ყველგან და ყველაფერში იყო გათვალისწინებული - ჰქონდათ თავისუფალი სივრცე და სკოლაში გამჭვირვალე პროცესები მიმდინარეობდა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, მაშინ რატომ? სამინისტრო პასუხის დაყოვნების მიზეზად იმას ასახელებდა, რომ განცხადება ისევ კვლევის საგანი იყო, დღემდე გაურკვეველია, რას იკვლევდნენ ან რა გამოიკვლიეს?

– გეთანხმებით, ცოტა უცნაურია ამდენი პროექტის განხორციელების ფონზე, როცა სკოლა, სწორედ თქვენი დირექტორობის პერიოდის მიღწევებით, ერთ-ერთია გამორჩეულ სკოლათა შორის, თქვენ მოვალეობის შემსრულებლად არ გნიშნავენ. ამას ისიც ემატება, რომ შემოდგომაზე „სკოლის ლიდერობის კონკურსში“ საკმაოდ კომპეტენტურმა ჟიურიმ ფინალისტებს შორის დაგასახელათ, რაც, თავისთავად, გამორჩეული ლიდერობის და მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე ვერ მოხდებოდა. მაშინ რასთან გვაქვს საქმე? რას ფიქრობთ?

– უხერხულია საკუთარ მიღწევებზე საუბარი, მაგრამ მაინც მიწევს. გეთანხმებით, ლიდერობის კონკურსში, 17-კაციანმა საკმაოდ კომპეტენტურმა და მრავალფეროვანმა ჟიურიმ, მონაწილეებს შორის, 10 საუკეთესო სკოლის დირექტორი შეარჩია. საკმაოდ სერიოზული კონკურსი იყო, რომელიც ხუთი ეტაპისგან შედგებოდა. ერთ-ერთ ეტაპზე, ორი დღის განმავლობაში, საერთაშორისო დონის გერმანელი ექსპერტი გვაკვირდებოდა. როცა ჟიურის გადაწყვეტილება გამოცხადდა და ფინალისტებში დამასახელეს, უზომოდ ბედნიერი ვიყავი - ფინალში წარმოვადგენდი შიდა ქართლს, ჩემს ხიდისთავის სკოლას. საუკეთესო ათეულში რომ ვიყავი, ძალიან საამაყო იყო და, რა თქმა უნდა, ეს წარმატება მხოლოდ მე არ მეკუთვნოდა, ეს ყველაფერი ჩემს თემთან და სკოლასთან ერთად შევძელი. ცხადია, მარტო ამას ვერ გავაკეთებდი. კონკურსის მიზანიც ეს იყო – სკოლის დირექტორის პროფესიის პოპულარიზება და საუკეთესო პრაქტიკის ჩვენება/გაზიარება სხვა, დანარჩენი სკოლებისთვის. როცა ასეთი პროცესების მონაწილე ხარ, ბუნებრივია, გაუგებარია, რატომ იყენებენ დისკრეციულ უფლებას იმისთვის, რომ არ გადაგიყვანონ მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე, შემდგომ არჩევნებამდე. სწორედ ეს კითხვა აქვს სასკოლო საზოგადოებასაც სამინისტროსთან, მინისტრთან. წერილი გაგზავნილია და ველით პასუხს. ეს კითხვა აქვს სოფელსაც, 25-მდე მშობლის ხელმოწერაა მოთხოვნაზე – პასუხი გაგვცეს სამინისტრომ, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. იმედია, წერილის გაგზავნიდან, ათი სამუშაო დღის განმავლობაში სამინისტრო გვიპასუხებს.

– რა მოლოდინი გაქვთ?

– რაც შეეხება მოლოდინს, მე მაინც ოპტიმისტი ადამიანი ვარ და მჯერა (ყოველ შემთხვევაში, მინდა დავიჯერო), რომ გადაიხედება გადაწყვეტილება და რაღაც შეიცვლება. აქვე მინდა გითხრათ, რომ მარტო მე არ ვარ ასეთი პრობლემის პირისპირ, ანალოგიურ მდგომარეობაში, ქვეყნის მასშტაბით, ბევრი დირექტორი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ეს ადამიანებიც ითხოვენ პასუხს და ყველას ერთი კითხვა გვაქვს: რატომ არ მოხდა ჩვენი გადანიშვნა?

მინდა ისიც გითხრათ, რომ პანდემიის პერიოდში, უკიდურესად მძიმე ეკონომიკური სიტუაციის დროს, სკოლები ურთულესი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდნენ – ონლაინ სწავლება სერიოზული გამოწვევაა. თუ ამ სირთულესაც გავითვალისწინებთ, კიდევ უფრო გაუგებარი ხდება სამინისტროს გადაწყვეტილება, რომლითაც სკოლას აცლი საძირკველს – სკოლის წარმატების საწინდარი და მთავარი საყრდენი ხომ კარგი მენეჯერი და, პირველ რიგში, კარგი საგანმანათლებლო ლიდერია. ეს ნამდვილად ასეა, თუმცა, შეიძლება ამაზე ვიდავოთ, მაგრამ სკოლის წარმატება, დიდწილად, მაინც მის ხელმძღვანელზეა დამოკიდებული.

– როგორ ფიქრობთ, შექმნილი ვითარება რა გავლენას მოახდენს სკოლაზე - მასწავლებლებზე, მოსწავლეებზე? რა ბედი ელის თქვენ მიერ დაწყებულ პროექტებს?

– პირველ რიგში, ეს მოსწავლეების დემოტივაციასა და უნდობლობას გამოიწვევს. ბუნებრივია, მათაც უჩნდებათ კითხვები... ჩემს მოსწავლეებს და მშობლებს ისეთივე უსამართლობის განცდა აქვთ, როგორც მე. ვცდილობ, ბავშვებთან ამ ფაქტზე არ ვიასუბრო, თუმცა, გამუდმებით მწერენ პირადში და ძალიან გულდაწყვეტილები არიან. ისინიც მოლოდინის რეჟიმში არიან და ფიქრობენ, რომ რაღაც შეიცვლება. მე კი, სკოლაში ვრჩები მასწავლებლად (კანონის თანახმად, 10 საათის ჩატარების უფლება მაქვს) და ვაგრძელებ გაკვეთილებს. ამის გარდა, ძალიან ბევრი პროექტის განხორციელება მქონდა დაგეგმილი, მაგრამ პანდემიამაც შეგვიშალა ხელი. ნაწილის განხორციელებას, ალბათ, მაინც შევძლებთ. წინა კვირას დავრეგისტრირდით, მე და ჩემი მოსწავლეები (ხომ გითხარით, ოპტიმისტი ადამიანი ვარ და არ ვფიქრობ, რომ ამით ყველაფერი დასრულდა) პროექტზე „ნიკო კეცხოველი 2021“. ჩემთვის უმთავრესი ჩემი მოსწავლეები არიან და, შესაბამისად, მათ ღალატს არ ვაპირებ. მართალია, იმედგაცრუებული და განაწყენებული, მაგრამ მაინც მათ გვერდით ვარ. ასევე, დიდი მოლოდინი გვაქვს მეორე პროექტის, რომელიც გასულ წელს, როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, მოსწავლეების ჯგუფთან ერთად, ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის – „შენი იდეა შენს სკოლას“ (მოიგე შენი სკოლისთვის 20 ათასი ლარი) დავწერე. უკვე ფინალში ვართ და სამ რჩეულ პროექტს შორის დავსახელდით. იმედია, ჩემი დირექტორობიდან გათავისუფლების ფაქტორი ხელს არ შეგვიშლის და გავიმარჯვებთ.

– თუ სამინისტრო გადაწყვეტილებას არ შეცვლის, აპირებთ თუ არა დირექტორების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობას?

– გულწრფელად გეტყვით, ამ ეტაპზე, უფრო მეტად მობილიზება და დამშვიდება მჭირდება. ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას, რას ვიზამ მომავალში – ჩავერთვები თუ არა დირექტორების შესარჩევ კონკურსში.

ტექნოლოგიური რესურსი

მოსწავლეებში პროგრამირებისა და ინჟინერიის მიმართულებით ინტერესის გაღვივებისთვის

ლალი თვალაბეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, **გიგა ზედანიას** ინიციატივით, 2020 წლის სკოლის ლიდერობის კონკურსის გამარჯვებულ დირექტორს, **ვარდენ ნიქაბაძეს**, მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლაში საინჟინრო კლუბის განვითარებისთვის, სკოლის მოსწავლეებში პროგრამირებისა და ინჟინერიის მიმართულებით ინტერესის გაღვივებისთვის 10 სასწავლო დრონი გადაეცა.

სკოლის დირექტორმა, ჩვენთან საუბრისას, აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დრონები მიიღო, კიდევ ერთხელ კარგად გაეცნო მათ შესაძლებლობებს და მისი წარმოდგენაც, ამ მიმართულებით, უფრო გამყარდა: *„ეს რეალურად საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ კეთებით. ყველამ იცის, რომ, მაგალითად, პროგრამირება ძალიან მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში და ყველა მიმართულებით შეიძლება გამოვიყენოთ ისევე, როგორც, თავის დროზე, იყო ცნობილი (ახლაც ასეა), რომ მათემატიკა ბევრი მეცნიერების საფუძველი, ინსტრუმენტი და იარაღი იყო. ანალოგიურად, პროგრამირების მცოდნე ადამიანი ნებისმიერ სფეროში შეძლებს, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს. ჩვეულებრივ, მოსწავლეებისთვის პროგრამირების შესწავლის პროცესი ცოტა მოსაბეზრებელია, ძალიან გვიან იგებენ მის მნიშვნელობას და გვიან იღებენ სიამოვნებას ამ პროცესისგან. როდესაც დრონების საშუალებით დააპროგრამებენ რამეს (თუნდაც ეს არ იყოს ისეთი სერიოზული რამ, რაც პერსპექტივაში იგულისხმება) და შედეგს რეალურად დაინახავენ, ეს აუცილებლად გაუჩენს მათ ინტერესს, რომ უფრო მეტი ისწავლონ. გარდა ამისა, დრონების მეშვეობით, შესაძლებელია, სივრცითი გეოგრაფიული პროექტების განხორციელება, თუმცა კლასიკური საგაკვეთილო ფორმით დრონები არ გამოიყენება, მაგრამ თანამედროვე განათლებაში ძალიან დიდი როლი აქვს არაფორმალურ განათლებას და სწორედ არაფორმალური განათლების გამაძლიერებელი ფაქტორი იქნება ჩვენი საინჟინრო კლუბი სკოლისთვის.“*

თუ აქამდე საინჟინრო კლუბს სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობდა, ახლა მათივე სკოლის ყოფილი მოსწავლე, აიტი მენეჯერი **დავით ნარმანია** გაუძღვება, მეთორმეტეკლასელ **ირაკლი ფერცულიანთან** ერთად, რომელმაც ამის სურვილი თავად გამოთქვა და ვარდენ ნიქაბაძეს სჯერა, რომ შეძლებს: *„მართალია, მუშაობის პროცესში მეც ჩავერთვები, მაგრამ თანდათან ვეცდები, ახალგაზრდებს გადავაბარო. მნიშვნელოვანია, რომ ეს ცოდნა მოსწავლეებს გადაეცეთ. გვინდა, მეთორმეტეკლასელებიც ჩავრთოთ აქტიურად, ისეთები, ვინც თვითონ შეძლებენ სხვებისთვის ამ ცოდნის გაზიარებას, იქნებიან როგორც კლუბის აქტიური წევრები, ასევე მასწავლებლები-ქოუჩები. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მეტი იყოს ამ ცოდნის გადამცემი.“*

შესაძლოა, მომავალში, საინჟინრო კლუბის მომსახურებით არა მარტო ამ სკოლის, არამედ რაიონის სხვა სკოლების მოსწავლეებმაც ისარგებლონ. დირექტორი გვიყვება, რომ ჰქონდა ასეთი იდეა და სოფლის გამგებელსაც გაუზიარა: *„ჩვენი სოფელი დიდია, 4 სკოლაა და თუ სურვილი ექნებათ, შეეძლებათ, ამ კლუბის ბაზაზე, გაიღრმავონ ცოდნა. რა თქმა უნდა, ტექნიკური თვალსაზრისით, კლუბს გაფართოება დასჭირდება, მაგრამ პერსპექტივაში, ვფიქრობ, რომ კარგი იქნება. საზოგადოდ სასწავლო და საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნა ისე სწრაფად, როგორც სამყარო ვითარდება და როგორც ტექნოლოგიები ვითარდება, რა თქმა უნდა, არ ხდება, თუმცა, არაფორმალური სწავლების წილი და თავისუფალ გარემოში სწავლების წილი თანდათან ყველგან გაიზრდება, არა მარტო ჩვენთან.*

არა მგონია, თანამედროვე ტექნოლოგიები სკოლებისთვის ფუფუნება იყოს. ახლა კორონა პერიოდია და ამის გამო სახსრების ეკონომიაა ყველა მიმართულებით, მაგრამ იმ დროს, როცა მსგავსი პრობლემები არ იყო, ძალიან ბევრ სკოლას ჰქონდა ბიუჯეტში იმდენი დანაზოგი, რომ ერთი წლის დანაზოგით თუ არა, ორი წლის დანაზოგით მაინც, ასეთი კლუბი, ტექნიკური თვალსაზრისით, გაემართა (დაახლოებით, 2000-მდე სკოლაა საქართველოში, აქედან 1000 სკოლას მაინც ექნებოდა ამის საშუალება). კარგი იქნება, უნივერსიტეტები თუ დაეხმარებიან სკოლებს და ამ მიმართულებით ტრენინგები ჩატარდება. ვფიქრობ, რომ ჩვენნაირი ეკონომიკური სიძლიერის ქვეყნისთვისაც არ არის არაფერი ხელმიუწვდომელი და ამაზე უკეთესი რა უნდა გაკეთდეს სკოლაში. არ მახსოვს, ჩემს მოსწავლეებს ასე რამე გახარებოდათ, როგორც 3D ბეჭდვის კლუბის ამუშავება სკოლაში, როცა დაინახეს, როგორ მიდიოდა ბეჭდვის პროცესი. 3D პრინტერის საშუალებით ვბეჭდავთ სხვადასხვა ფიგურებს, ბავშვები ინტერნეტში მოიძიებენ და გარდაქმნიან, საჭიროების მიხედვით, 3D ობიექტებს, სასკოლო თვალსაჩინოებებს და ა.შ.

ჩვენს კლუბს ადრე 3D ბეჭდვის კლუბი ერქვა და ახლა საინჟინრო კლუბად უნდა გარდავქმნათ. სარეგისტრაციო ბმული მოსწავლეებისთვის სკოლის ფეისბუქგვერდზე დავაგზავნეთ და დაიწყეს რეგისტრირება. ვფიქრობ, პირველ ეტაპზე, V-XII კლასების მოსწავლეებს დავარეგისტრირებთ, მერე, რა თქმა უნდა, როგორც ხდება ხოლმე, მოსწავლეების ნაწილი კლუბში ალბათ არ დარჩება, მაგრამ მგონია, 70-მდე წევრი მაინც გვეყოლება.“ – გვითხრა ვარდენ ნიქაბაძემ.

„დღეს უკვე ყველა სფეროში გამოიყენება დრონები, ბავშვებს შევასწავლით, დავაინტერესებთ პროგრამირებით და დრონების შესახებ რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას მივაწვდით. ეს მომავლის ტექნოლოგიაა და ძალიან კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მეტი ცოდნა ექნებათ ამის შესახებ.“ – ამბობს ინჟინერიის კლუბის წევრი ირაკლი ფერცულიანი.

სკოლა, შესაძლებლობის ფარგლებში, უკვე წლებია, ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მიმართულებების პოპულარიზაციის მიზნით, არაერთ საინტერესო აქტივობას ახორციელებს. სწორედ ეს გახდა სკოლისთვის სპეციალური პრიზის დაწესების მოტივი. სკოლის ლიდერობის კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, გიგა ზედანიამ განაცხადა, რომ მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლას საინჟინრო კლუბის განვითარებისთვის, დრონებს გადასცემდა.

ნანა დიხამინჯია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი მეცნიერების პოპულარიზაციისა და ინოვაციების მიმართულებით და ტექნოლოგიის სკოლის წარმომადგენლები ესტუმრნენ სკოლას, დრონები გადასცეს და საინჟინრო კლუბის წევრი მოსწავლეებისთვის დრონების შესახებ პირველი ვორკშოფიც ჩაატარეს, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ღია სივრცეში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ნანა დიხამინჯია ამბობს, რომ უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვა და ამ მიმართულებით მოსწავლეების ინტერესის გაზრდა. *„10 სასწავლო დრონი გადაეცა ფარცხანაყანევის სკოლას, ილიაუნის ტექნოლოგიების სკოლა მხარდაჭერას აღმოუჩენს სკოლას დრონების მოქმედების პრინციპებისა და დაპროგრამების შესწავლაში, ტექნოლოგიური და საინჟინრო კლუბების განვითარებაში.“* ამ მიზნით, სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის არაერთ ვორკშოფსა თუ საჯარო ლექციას გამართავს.

ვარდენ ნიქაბაძეს მიაჩნია, რომ არაფორმალურ გარემოში ამ ფორმით და მიმართულებით სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის. *„უნივერსიტეტის ეს ნაბიჯი უმნიშვნელოვანესია, ძალიან დიდ ბენეფიტს მოიტანს სკოლისთვის და ჩვენი მოსწავლეებისთვის მომავალში, საზოგადოდ, ახალი სასკოლო კულტურა დამკვიდრდება იმ მხრივ, რომ მოწინავე, ახალი, თანამედროვე დავნერგოთ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.“*

ხარისხის განვითარება

შედეგები და ამოცანები

თამარ მახარაშვილი
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

2020-ის მთავარი მიღწევები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

➡ დაიგეგმა და განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის ატესტაცია. ატესტაციის შედეგად, ექსპერტთა კორპუსის წევრებმა გაიარეს ატესტაციის პროცედურები, რომელმაც შესაძლებლობა მისცა საატესტაციო კომისიას, ყოველმხრივ და სიღრმისეულად შეეფასებინა ექსპერტთა კორპუსში მყოფი პირების კომპეტენცია, უნარები და ეთიკური დამოკიდებულებები.

➡ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსს დაემატნენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები, რომელთა შერჩევაც საჯარო და ღია კონკურსის საფუძველზე განხორციელდა. აღნიშნული პირები, დარგის ექსპერტებთან ერთად, განახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას და ძირითადად ორიენტირებულები იქნებიან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაზე უმაღლესი განათლების სისტემაში მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებთან.

➡ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებისთვის ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა და ტრენინგი; მუდმივად ხორციელდებოდა ექსპერტთა კორპუსების განახლება. ამ მიზნით, საჯაროდ გამოცხადდა კონკურსი სტუდენტი ექსპერტების შერჩევის მიზნით. ამასთან, ექსპერტთა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების პროფესიული განვითარების და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის უკეთ გაცნობის მიზნით, მომზადდა ვიდეორგოლები შემდეგ საკითხებზე: ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები, უმაღლესი განათლების სისტემა; ექსპერტთა საქმიანობის წესი და ეთიკის კოდექსი. ასევე, განხორციელდა ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი განახლება, რომელიც იძლევა ექსპერტების საქმიანობის უფრო დეტალური და სრულყოფილი შეფასების განხორციელების შესაძლებლობას. მოხდა შეფასების შედეგების შესახებ მომზადებული ანგარიშის ექსპერტებისთვის გაცნობა და მათთან ერთად დაიგეგმა მათი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის შემდგომი აქტივობები.

➡ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მომზადდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა კონკრეტული წინადადებები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში შესატანი ცვლილებების თაობაზე. მომზადებულია შესაბამისი პროექტები, რომლებიც უკვე გაიგზავნა ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკუკავშირის მისაღებად.

➡ განახლდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ფორმები. აღნიშნული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში საავტორიზაციოდ ან სააკრედიტაციოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

➡ შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ან აკრედიტაციის მინიჭებიდან 3 წლის თავზე წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიშის ფორმები და განისაზღვრა აღნიშნული ანგარიშების წარმოდგენის კონკრეტული პერიოდები. ასევე, შემუშავდა: სააპელაციო და სხვადასხვა სახის საჩივრების წარმოდგენისა და განხილვის მეთოდოლოგია, რაც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე.

➡ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და სასწავლო პროცესის დისტანციურ ფორმატში გადატანის გათვალისწინებით, ინსტიტუციებისათვის მომზადდა გზამკვლევი ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ცენტრის ვებგვერდს დაემატა ახალი კატეგორიის „მხარდაჭერა COVID-19" პირობებში, რომელიც აერთიანებს რჩევებს და სასარგებლო რესურსებს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით. ასევე, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები თუ როგორ უნდა უზრუნველყონ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დისტანციური ფორმით განხორციელებულ სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტებზე ხარისხის შეფასება.

➡ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით, წლის დასაწყისში, ცენტრმა გააგზავნა იმ საკითხების, თემების ჩამონათვალი, რომელშიც ისინი ისურვებდნენ ტრენინგების ჩატარებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები, რომლებსაც წარუძღვნენ, როგორც ცენტრის თანამშრომლები, ასევე საერთაშორისო ექსპერტები.

➡ ცენტრის ინიციატივით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები. აღნიშნული ცვლილების თანახმად, აკრედიტაციის საბჭოს მიეცა უფლებამოსილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის გაუქმების ან აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მიღებული, მას შეეძლოს, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით, სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად, არაუგვიანეს, მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს.

განათლების სამივე საფეხურზე თვითშფასების სისტემის დანერგვა

➡ ENQA-ს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის მიერ, მომზადდა საკანონმდებლო აქტებსა და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებების შესახებ წინადადებები, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მონიტორინგის სისტემის და თვითშეფასების პროცესის გაუმჯობესების შესახებ. დოკუმენტი განვიხილეთ დაძმობილების პროექტის – თვინინგის ფარგლებში, გერმანელ და ესტონელ ექსპერტებთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3-წლიანი თვითშეფასების ანგარიშის ფორმა.

➡ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების** განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების ორგანიზების მიმართულებით ჩატარდა მხარდამჭერი ღონისძიებები, ხოლო მიმდინარე წელს თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 85-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მომავალ წელს, ამ თვითშეფასებებზე დაყრდნობით, დაიგეგმება სისტემური და ინსტიტუციური მხარდაჭერის ღონისძიებები. პარალელურად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით, მომზადდა ელექტრონული პლატფორმა, მომავალში თვითშეფასებების ელექტრონულ ფორმატში განსახორციელებლად.

➡ **ზოგადი განათლების საფეხურზე** ასევე განხორციელდა თვითშეფასების პროცესი. გაკეთდა ანალიზი და დაიგეგმა მომავალი წლის ტრენინგები დაწესებულებებისათვის. ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ზოგადი განათლების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაქმნელად, რასაც ზოგად განათლებაში თვითშეფასების სისტემის სრული გადახედვა მოჰყვება.

კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლისთვის მოსამზადებელი სამუშაოები

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თვინინგის პროექტის ფარგლებში შემუშავდა კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. შემუშავდა კლასტერული აკრედიტაციის პროცედურა, რომლის განხილვაც მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ექპერტებთან. 2021 წლის აპრილიდან იგეგმება კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება ფილოსოფიის, ისტორია-არქეოლოგიის, ენებისა და ლიტერატურის მიმართულებებში. პილოტირების პროცესში, ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, ჩართულები იქნებიან საერთაშორისო ექსპერტები ესტონეთიდან და გერმანიიდან. პარალელურად, 2021 წლისთვის დაიგეგმა ჰუმანიტარული მიმართულების ანალიზი და ჰუმანიტარული ვიწრო და დეტალური სფეროების მიმართულებით (ისტორია, არქეოლოგია, ენები, ქართული ფილოლოგია) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური აკრედიტაციისგან განსხვავებით კლასტერული აკრედიტაცია დაზოგავს ადამიანურ რესურსებს, დროსა და ხარჯებს, როგორც ცენტრისთვის, ასევე უნივერსიტეტებისთვის, ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ეფექტურ დანერგვას. ამასთან, კლასტერული აკრედიტაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აკრედიტაციის ექსპერტებს და საბჭოს წევრებს მისცემს მეტ შესაძლებლობას, რომ უკეთ დაინახონ კონკრეტული სფეროსა და დარგის განვითარების ტენდენციები ინსტიტუციის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა

დაიწყო განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვის პროცესი, რაც მოიცავს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განახლებულ ჩარჩოს განზოგადებული სწავლის შედეგებთან და კლასიფიკატორით განსაზღვრულ სწავლის სფეროებთან თავსებადობის დადგენას.

შემუშავდა და დამტკიცდა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ერთსაფეხურიანი, ქართული ენის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცენტრში წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიშის ფორმები. 2020 წელს განხორციელდა უმაღესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება არარეგულირებადი სფეროებისთვისაც.

დასრულდა პროფესიული განათლების დარგობრივი საბჭოების ფორმირება, დამტკიცდა 12 მიმართულების დარგობრივი საბჭო. ჩატარდა საინფორმაციო სემინარი და მიმდინარე წელსვე დაიწყო ინტენსიური სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც განიხილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები (მიმართულებების მიხედვით). საბჭოს სხდომები ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება 2021 წელსაც.

2021 წელს მნიშვნელოვნად შეიცვლება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები, რათა ისინი მაქსიმალურად დაუახლოვდნენ შრომის ბაზრის შეცვლილ მოთხოვნებს, ასევე მნიშვნელოვნად გაფართოვდება პროფესიულ კვალიფიკაციათა სპექტრი.

ავტორიზაციის 4-შკალიანი სისტემა

2020 წლის თებერვალში არსებითად შეიცვალა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. ცვლილების ერთ-ერთი მთავარი შედეგი შეფასების ხისტი სისტემიდან განვითარებაზე ორიენტირებულ, ოთხდონიან სისტემაზე გადასვლა იყო, რაც უმაღლეს განათლებაში, უკვე ორი წელია, დაინერგა. მომავალ წელს ანალოგიური სისტემა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილშიც შემოვა.

კერძო სექტორი – პროფესიული განათლების ყველაზე დიდი მოკავშირე

საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, კერძო სექტორის როლი უმნიშვნელოვანესია პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარების საქმეში. მიმდინარე წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების განვითარების, ექსპერტთა კორპუსის გაძლიერებისა და დარგობრივი ექსპერტული კომპეტენციებით დახმარების, ხარისხის კონტროლისა და განათლების მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერების, ასევე, კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დეწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, რამაც შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მიწოდებას უნდა შეუწყოს ხელი. მემორანდუმის ფარგლებში, პალატა ჩაერთო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელთა კონსულტირების პროცესში, ასევე, პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების პროცესში ცალკეული საკითხების განმხილველი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, ექსპერტთა კორპუსის ატესტაციისა და სერტიფიცირების პროცესში.

კერძო სექტორის ჩართულობა სხვადასხვა სექტორული ასოციაციების დონეზეც ხორციელდება როგორც ექსპერტთა კორპუსში მათი მონაწილეობის, ისე ავტორიზაციის ან მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს, სააპელაციო საბჭოს შემადგენლობაში, დარგობრივ საბჭოებში მათი მონაწილეობის გზით, რომ აღარაფერი ვთქვათ კერძო სექტორის მიერ მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების, ასევე კოლეჯებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მათი ჩართულობის მზარდ ტენდენციაზე.

სიახლეები სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ცენტრმა მოიპოვა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება, გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) წევრი; გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ცენტრსა და უკრაინის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (NAQA) და ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA); ცენტრი შერჩეული იქნა ევროკომისიის და ერაზმუსის პროგრამის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების მონაწილედ; აქტიურ მონაწილეობას ვიღებდით ბოლონიის სამეთვალყურეო

ხარისხის განვითარება

ჯგუფის (BFUG) და ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფის (BICG) თემატური საექსპერტო ჯგუფების მუშაობაში.

სადოქტორო და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება

სადოქტორო საფეხურის პროგრამებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ თემატური ანალიზის მომზადების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თვინინგის პროექტის ფარგლებში შემუშავებული თემატური ანალიზის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით მუშაობს ანალიზის დოკუმენტზე. ანალიზის საფუძველზე დაგეგმილია სადოქტორო პროგრამების შეფასების სტანდარტების გადახედვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო განათლების მიმართულებით შეიქმნა დარგობრივი საბჭო, რომლის მიზანია სამედიცინო განათლების დარგობრივი სტანდარტის გადახედვა, რაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს საქართველოში მიღებული სამედიცინო განათლების ხარისხს.

2021-ის მთავარი ამოცანები განათლების სამივე საფეხურზე

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების კუთხით მთავარი ამოცანებია:

➪ ცენტრის და მისი საქმიანობის ევროპულ სტანდარტებთან (ESG 2015) სრული ჰარმონიზაციის მიზნით, განხორციელდეს მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც მიმართული იქნება ცენტრის დამოუკიდებლობის გაზრდაზე; ექსპერტთა მომზადება/გადამზადების სისტემის ინსტიტუციონალიზაციაზე და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების და პროცედურების დახვეწაზე;

➪ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად შემუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მოთხოვნები, რაც მიმართული იქნება ქვეყანაში არსებული სადოქტორო პროგრამების ხარისხის გაზრდაზე, მათ მოქნილობასა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაზე;

➪ დაინერგება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის მოდელი. ინდივიდუალური აკრედიტაციისგან განსხვავებით, კლასტერული აკრედიტაცია გულისხმობს კონკრეტულ სწავლის სფეროში აკრედიტაციის მოპოვებას. ახალი მიდგომა დაზოგავს ადამიანურ რესურსებს, დროსა და ხარჯებს როგორც ცენტრისთვის, ასევე უნივერსიტეტებისთვის, ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ეფექტურ დანერგვას;

➪ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სრულად დაინერგება განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და კლასიფიკატორი, რომელიც შესაბამისობაშია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) პრინციპებსა და მოთხოვნებთან.

➪ უმაღლესი განათლების სფეროებისთვის, დარგებისთვის ეტაპობრივად შემუშავდება დარგობრივი მახასიათებლები (Benchmarks). პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულები, როგორც შრომის ბაზრის წარმომადგენლები, ასევე კონკრეტული სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, ასევე შეამცირებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების სუბიექტურად შეფასების რისკებს;

➪ იგეგმება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განახლება, რომელიც ითვალისწინებს თემატური კვლევის შედეგებს, WFME-ისა და სამედიცინო სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს.

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების კუთხით მთავარი ამოცანებია:

➪ 2020 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული თვითშეფასების შედეგების ანალიზი სისტემურ და ინდივიდუალურ დონეზე;

➪ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებლის უფლების მოპოვების მიმართულებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების/იურიდიული პირების საჭიროებათა ანალიზი;

➪ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტების საქმიანობის შეფასება და ანალიზი;

➪ საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელი ზოგადი საგალდებულო მოდულების განახლება ევროკავშირის 8 საკვანძო კომპეტენციის შესახებ რეკომენდაციის გათვალისწინებით.

➪ არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარება და სერტიფიცირება.

ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების კუთხით მთავარი ამოცანაა სტანდარტების შეფასების დიფერენცირებული მიდგომის შემოღება.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილი ამოცანებია:

➪ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო და ევროპული ქსელების წევრობის შენარჩუნება და თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სხვა სააგენტოებთან;

➪ ბოლონიის მოთხოვნების გათვალისწინებით, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში, მიკროკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ ევროპული გამოცდილების საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაზიარება.

➪ ავტორიზაციის სტანდარტების და ინდიკატორების პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორებთან შესაბამისობის ანალიზი.

ცენტრის მიერ გაწეული სერვისების განვითარების მიმართულებით დაგეგმილია ერთიანი, სტანდარტული პროცედურის და კრიტერიუმების განსაზღვრა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურისას, მიუხედავად სწავლების ფორმისა (დისტანციურად მიღებული განათლების აღიარება).

ნინო კაპერსკის გამოცდილება

ნინო კაპერსკი
თბილისის მე-200 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

ყურადღება გაამახვილეთ ემოციებზე

როდესაც ბავშვი გაღიზიანებულია და არასათანადოდ იქცევა, პრიორიტეტულად, ყურადღებას ვამახვილებთ „ქცევის შეჩერებაზე“, გაგების გარეშე, „რატომ ჰქონდა მას ადგილი“. ხშირად, ბავშვს არ აქვს ემოციების მართვის შესაძლებლობა. გირჩევთ, პრობლემური ქცევის შესამცირებლად, რა ტექნიკასაც არ უნდა იყენებდეთ, უპირველეს ყოვლისა, „აღიარეთ“ ბავშვის გრძნობები, შემდეგ კი გაუმკლავდით ქცევას. სცადეთ ინტერვენციის დაწყება ამ გზით:

1. აღიარეთ, რომ ბავშვი გაღიზიანებულია. მაგალითად: „დათო, გაღიზიანებული ჩანხარ!“

2. შემდეგ, დაარწმუნეთ, რომ აღელვება ჩვეულებრივი ამბავია: „მესმის, თუ როგორ ხარ გაღიზიანებული, რადგან ახლა არ შეგიძლია ---- მიღება. შესაძლოა, ამას მეც ძალიან გაეღიზიანებინე“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დაეთანხმოთ მას ან მოიწონოთ მისი ქცევა, უბრალოდ აღიარეთ, თუ როგორ გრძნობს იგი თავს.

3. დაბოლოს, დაეხმარეთ ბავშვს პრობლემის მოგვარებაში ან შეუთანხმდით, თუ როდის ან როგორ შეუძლია მიიღოს ის, რაც სურს. უარყოფითი ქცევის ნაცვლად, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა გინდათ, რომ ბავშვმა გააკეთოს.

თუკი ბავშვი მეტისმეტად გაღიზიანებულია იმისათვის, რომ გონივრულად გესაუბროთ, უთხარით: „ახლა ლაპარაკისათვის ძალიან გაღიზიანებული ხარ. ყველაფერი რიგზეა! მითხარი, როდესაც საკმარისად მშვიდად იგრძნობ თავს, ლაპარაკისათვის“. შემდეგ, მინიმუმამდე დაიყვანეთ არასასიამოვნო ქცევისადმი ნებისმიერი სახის ყურადღების გამოვლენა. ნაკლებად გამოხატეთ ემოცია და ილაპარაკეთ ფაქტობრივად, გარემოებიდან გამომდინარე. დაუბრუნდით 1-3 ნაბიჯებს (ეძიეთ მიზეზი და პრობლემის გადაჭრის გზები), მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი ლაპარაკისათვის საკმარის სიმშვიდეს იგრძნობს.

ასეთი მიდგომით, პატივს სცემთ ბავშვს. პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილეთ გრძნობაზე და არა ქცევაზე. „გაღიზიანება სავსებით ნორმალურია, მაგრამ საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის ზიანის მიყენება ნორმალური არაა“. არასასურველი ქცევის შესამცირებლად, ყურადღება უფრო სასარგებლო საპასუხო ქმედებების სწავლებაზე გაამახვილეთ. როგორ გინდათ, რომ ბავშვმა, გაღიზიანებისას, მოახდინოს რეაგირება? მას შემდეგ, რაც გამოავლენთ საპასუხო ქმედებებს, პრაქტიკაში იქამდე გამოიყენეთ, სანამ ჩვევაში გადაიზრდება. ამგვარად, ბავშვი „საიმედო პარტნიორად“ აღგიქვამთ და მეტად შეეცდება მართებული საპასუხო მოქმედების გამოვლენას.

მხედველობითი კონტაქტის დამყარების მოთხოვნა

აუტიზმის მქონე ბავშვებში მღელვარების გამოწვევის საუკეთესო საშუალებაა მოწოდება – შემოგხედონ. როდესაც ბავშვი ცდილობს მოუსმინოს თქვენს ნათქვამს, მოწოდება, გიყუროთ თვალებში, გამოიწვევს მხოლოდ გაღიზიანებას და ხელს შეუშლის მოსმენილი ინფორმაციის აღქმაში. ამის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს:

➪ ბევრ ბავშვს აქვს სმენითი აღქმის პრობლემები. კვლევებმა აჩვენა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვები ხშირად თქვენი პირის მოძრაობას უყურებენ. მოთხოვნა – შემოგხედონ, გონივრულია, თუ მათ სჭირდებათ თქვენი ტუჩების მოძრაობაზე დაკვირვება, რათა უკეთ გაიგონ რას ამბობთ.

➪ სენსორული ინტეგრაციის პრობლემების გამო, აუტიზმის მქონე მრავალ ბავშვს უჭირს, ერთდროულად, ორი შეგრძნების შეკავშირება. მათ შეუძლიათ ან შემოგხედონ, ან მოგისმინონ, მაგრამ ორივეს ერთდროულად ვერ უმკლავდებიან.

➪ ზოგიერთი ბავშვი, საგნების დასათვალიერებლად, პერიფერიულ მხედველობას იყენებს, ამიტომ მისთვის პირდაპირ თვალებში ყურება მეტისმეტად გამაღიზიანებელია.

ასე რომ, მოწოდება – შემოგხედონ, არ ზრდის საკითხის გაგების დონეს, პირიქით, ხშირად აფერხებს მის წვდომას.

უმეტესობა ჩვენგანისთვის, სხვის თვალებში ყურება ბევრად უფრო ადვილია, როდესაც ამას საკუთარი ნებით ვაკეთებთ და არა მოწოდებით. იგივე ეხება ურთიერთობის ყველა სტილს. აუტიზმის მქონე ბავშვები უფრო ხშირად შემოგხედავენ, თუ ამას შემოვლითი გზით შესთავაზებთ და არა მოწოდებით. გამოიყენეთ შემდეგი რჩევები და აღმოაჩენთ, რომ ბავშვი უფრო ხშირად გიყურებთ:

1. ბავშვთან საუბრისას, დადექით ისე, რომ იყოთ მის წინ, თვალის დონეზე. როდესაც თქვენი სახე ბავშვის მხედველობის არეშია, უკეთ მიიქცევთ მის ყურადღებას. ეს არ ნიშნავს სახესთან ძალიან მიახლოებას, რაც მას შეაშინებს. იყავით მისი მხედველობის არეში ისე, რომ გაუადვილდეს შემოხედვა.

2. ნაკლებად გამოიყენეთ სიტყვები და მეტად - არავერბალური ენა. სიტყვები აძლიერებენ არავერბალურად მიწოდებულ ინფორმაციას. ყურადღების მისაპყრობად, წამახალისებელი მიმიკა და ჟესტები გამოიყენეთ. ამით მიიზიდავთ ბავშვს, შემოგხედოთ სახეზე, საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

3. როდესაც ბავშვი შეწყვეტს ყურებას, ოდნავ შეყოვნდით, სანამ კვლავ არ მოიკრეფს ყურადღებას. კომუნიკაციისას, შესვენება ბავშვს ეხმარება აღდგენაში.

4. მრავალი ბავშვი თვალს ადევნებს ხელებს. თუ ბავშვი თქვენთან შეხებით თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ხშირად მიატანინეთ ხელები თქვენს სახესთან, რაც მაშინვე უზრუნველყოფს მის მშვიდ მზერას. თქვენს სახეზე მზერით, ბავშვს პოზიტიურ ემოციას უზიარებთ. მხედველობითი კონტაქტის დამყარების ყველაზე ცუდი დროა, როდესაც გაბრაზებული ხართ ან საყვედურობთ. ამით მხოლოდ უარყოფით ემოციას გაუზიარებთ.

ასევე, ფიზიკური შეხებით ნუ მოაბრუნებინებთ ბავშვს თქვენკენ სახეს, მოთხოვნით: „შემომხედე!“ ფიზიკური შეხებით თავის მობრუნება ფიზიკური თავდასხმაა მის უსაფრთხოებაზე. მას გაუჭირდება „ნდობის“ შენარჩუნება, თუ მხედველობით კონტაქტს ფიზიკურად „აიძულებთ“. იმაზე მეტად არაფერი იწვევს შიშს და შფოთვას, ვიდრე როდესაც ვიღაც გეხებათ ნიკაპზე და თავს გატრიალებინებთ, რომ შეხედოთ თვალებში.

თუ გსურთ, რომ ბავშვმა თქვენთან თავი „დაცულად, აღიარებულად და უნარიანად“ იგრძნოს, ნუ მოახდენთ ზეწოლას მხედველობით კონტაქტზე ან რაიმე სხვა ურთიერთობის სტილზე. ზეწოლის ნაცვლად, მოახდინეთ პროვოცირება. ასე, საბოლოოდ, მოიპოვებთ მის „ნდობას“ და საპასუხო რეაქციებს.

„ითანამშრომლეთ ჩემთან, მენდეთ და მე მექნება საპასუხო რეაქცია, იძულებით მხოლოდ დამკარგავთ.“

ქეგის ნაცვლად, ერთად იზეიმეთ!

წლების წინ გავიგე, რომ „ორმხრივი წახალისება“, სადაც ორივე მხარე ერთმანეთს აჯილდოებს, ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე უბრალოდ ბავშვის შექება. ორმხრივი წახალისების გამოყენებისას, ბავშვი არა მარტო იღებს ჯილდოს, არამედ გასცემს კიდეც. აღნიშნული პროცესი ბავშვს, ნაცვლად პასიური მიმღებისა, აქტიურ მონაწილედ ხდის. ორმხრივი წახალისების ჩვეულებრივი მაგალითია „high five“ (ჟესტი, როდესაც ორი ადამიანი, აწეული მკლავით არტყამს ერთმანეთს ხელის გულებს). ბავშვი დაჯილდოების აქტიური მონაწილეა, როდესაც მასწავლებელი მას ხელის გულებზე დარტყმის საშუალებას აძლევს. მასწავლებელი ხსნის დაჯილდოების პროცესს და ბავშვი ამას მის ხელისგულებზე დარტყმით ასრულებს. შექების ნაცვლად, ისინი ერთად ზეიმობენ.

სიტყვიერი შექება: „ყოჩაღ, დათო!“ სასიამოვნოა, მაგრამ ხშირად მას მინიმალური მოტივაცია ახლავს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი, სიტყვები სწრაფად ქრება და ხშირად არ მყარდება. მეორე, ბავშვი აქტიურად არ არის ჩართული და პასიურად იღებს შექებას. მესამე, ის იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ კარგავს ენთუზიაზმს და ხდება ხელოვნური.

ორმაგად ეფექტურია სამი ტიპის შექების – ფიზიკური, ჟესტური და სიტყვიერი – შეწყვილება. იგი შედგება „ფიზიკური“ კონტაქტისგან, „high five“-ის სახით, მოწონების „ჟესტისგან“, ცერა თითების გამოყენებით და სიტყვიერი შექებისგან, როგორიცაა – „გასაოცარია!“. სამსაფეხურიანი სოციალური/ემოციური შექების გასაძლიერებლად გამოიყენეთ შემდეგი რჩევები:

1. წახალისების დროს, დადექით პირისპირ, თვალის დონეზე. მაგალითად, როდესაც ცერა თითების გამოყენებით ასახიერებთ მოწონების ჟესტს, ხელები სახესთან ახლოს მიიტანეთ ისე, რომ ბავშვმა თქვენი სახის გამომეტყველების ამოცნობა შეძლოს.

2. ნაკლებად გამოიყენეთ სიტყვები და მეტად – არავერბალური ენა (სახის ხალისიანი გამომეტყველება, დიდი რაოდენობის ჟესტები და მასტიმულირებელი ხმა). გამოიყენეთ მხოლოდ მოკლე სიტყვიერი შექება, როგორიცაა – „გასაოცარია!“.

3. ყურადღება გაამახვილეთ „ჩვენზე“, ვიდრე „შენზე“.

სამსაფეხურიანი სოციალური/ემოციური შექება არის მხიარული, სასიამოვნო და ორმხრივი წახალისება, რომელიც დაფუძნებულია ემოციის გაზიარებაზე და რომლის შესრულებაც მარტივია. მისი გამოყენებით არა მხოლოდ აძლიერებთ დავალების შესრულების უნარს, არამედ ავითარებთ ძლიერ სოციალურ და ემოციურ უნარებს. ეს არის ურთიერთობის გზით სწავლა.

ისიამოვნეთ ერთად გატარებული წუთებით!

 თვალსაზრისი

მე კონცეფცია და მასწავლებლის როლი, საკუთარი თავის შეცნობის პროცესში

რა არის ადამიანის დანიშნულება, რისთვის მოევლინა ის ქვეყანას, რა მისია აკისრია გარესამყაროში... ეს კითხვები, უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, არ კარგავს აქტუალობას და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პიროვნული განვითარების პროცესში.

საკუთარი თავის შეცნობა უმნიშვნელოვანესია ადამიანის ცხოვრების, წარმატებისა და განვითარებისათვის. ის ადამიანის ბავშვობიდან იწყება და ხშირად მისი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ცნობილი ფილოსოფოსები, საკუთარი თავის შეცნობისათვის, განსხვავებულ გზებს ეძიებდნენ და მიღებულ გამოცდილებას მოწაფეებს უზიარებდნენ. სოკრატეს სიტყვები: „შეიცან თავი შენი“ დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც საუკუნეების წინათ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი თავის შეცნობის პროცესი მოზარდობის ასაკში, როცა მიმდინარეობს ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი. ამ პროცესს მოსწავლეები სხვადასხვაგვარად უმკლავდებიან. მე, როგორც პედაგოგს, შემიმჩნევია, როგორ იცვლებიან დაწყებით საფეხურზე მყოფი თვალებციმციმა, მხიარული, გულღია მოსწავლეები საბაზო საფეხურზე. ისინი ხშირად სევდიანები, გულჩათხრობილები, ჩაკეტილები, ზოგჯერ აგრესიულებიც კი ხდებიან. ამასთან, მათი თანაკლასელები კვლავ თავისუფლები და ბედნიერები არიან.

მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვების შედეგად, მათი პოზიტიური თუ ნეგატიური ცვლილებების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად, ვფიქრობ, სწორედ მე კონცეფციის, საკუთარი თავის შეცნობის პროცესი უნდა განვიხილოთ. ამ მოსაზრებას ავითარებს პროფესორი ანიტა ვულფოკი წიგნში „განათლების ფსიქოლოგი“. ის წერს, რომ *„სხეულისა და გონების განვითარებასთან ერთად, მოზარდი დგება იდენტობის აგების ცენტრალური საკითხის პირისპირ. ეს, მომავალში, უზრუნველყოფს მოზრდილობის მყარ საფუძველს. ადამიანი თავის „მე“-ს განცდას პატარაობიდანვე ავითარებს. თუმცა, პირველად, მომწიფების ასაკში ცდილობს, გააზრებულად გასცეს პასუხი შეკითხვას, – „ვინ ვარ მე?“*

ისმის კითხვა, რა როლი აკისრია მოზარდის განვითარების, საკუთარი თავის შეცნობის პროცესში მის გარემოცვას, მშობლებს, მასწავლებლებს, სამეგობრო წრეს, მოკლედ, იმ სოციუმს, სადაც ის ცხოვრობს? ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი. ვფიქრობ, ყველამ უნდა გავიაზროთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და დავეხმაროთ მოზარდებს ამ ურთულეს პროცესში. როგორც ჰუმანისტური თეორიის წარმომადგენელი კარლ როჯერსი წერს: *„ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მარტო მისი თვითრეალიზაციისადმი ტენდენცია, არამედ ისიც, თუ როგორ აფასებენ მას სხვა ადამიანებიც“.*

ვფიქრობ, ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლები, უნდა ვიყოთ უფრო ემპათიურები, კეთილგანწყობილები, გულწრფელები მოზარდების მიმართ, რათა მათ შეძლონ შეიცნონ საკუთარი თავი, შემდეგ კი თვითრეალიზაცია მოახდინონ. კვლავ ჰუმანისტური თეორიის წარმომადგენლებს თუ დავესესხებით, სწორედ ის ადამიანები ახერხებენ თვითრეალიზაციას, რომლებიც *„სწორად შეიცნობენ საკუთარ გემოვნებებს, შესაძლებლობებს, ფანტაზიებს, ნაკლოვანებებსა და სურვილებს“.*

განსაკუთრებით მსურს გამოვყო პედაგოგის როლი, მოსწავლის თვითშეფასების ჩამოყალიბებისას.

აქვე მინდა გავიხსენო ლინდა მალალი ჰანთის წიგნის პერსონაჟი, საყვარელი გოგონა ელი, რომელსაც თანაკლასელთა უმრავლესობა არანორმალურს ეძახის და დასცინის. მასწავლებლებიც ვერ უგებენ. მისი თვითშეფასება ძალიან დაბალია, ამიტომ ცდილობს გაექცეს რეალობას და მხოლოდ თავის წარმოსახვაში იცხოვროს, დღიურთან ერთან... ყველაფერი რადიკალურად იცვლება, როცა მასთან ახალი მასწავლებელი შედის. ის ცდილობს მისი ძლიერი მხარეების წარმოჩენას და იბრძვის, რათა ელიმ გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები. მასწავლებელი მოახერხებს დაანახოს ელის, მის ოჯახსა და კლასელებს, რომ ის მშვენიერი მხატვარი და ძლიერი მოჭადრაკეა. თავად თვითშეფასებაამაღლებული გოგონა ეხმარება ძმას, საკუთარი ძალების აღმოჩენისა და საკუთარი თავის შეცნობის პროცესში.

ცნობილი ფრანგი მწერლის, დანიელ პენაკის წიგნში „სკოლის სევდა“ საინტერესოდ არის გადმოცემული მტკივნეული განცდები, რომელთა გადატანაც მოსწავლეს უხდება სკოლის კედლებში. ავტორი ცხოვრების იმ პერიოდებზე მოგვითხრობს, რომლებიც მან სკოლაში გაატარა, როგორც წარუმატებელმა მოსწავლემ და შემდეგ – როგორც წარმატებულმა მასწავლებელმა.

„მამაზეციერი ვერ დამარწმუნებდა, რომ საერთოდ რამე მომავალი მექნებოდა!

– უმომავლო ცხოვრება!

– ო, რა შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, როცა ვიღაცის მშრალი და უგულოდ წარმოთქმული ფრაზა საკუთარი არარაობისა და უღირსობისკენ მაბრუნებდა...“

ეს სიტყვები დანიელის დაბალი თვითშეფასების და წარუმატებელი ცხოვრების მაჩვენებელია. მაშ, როგორ მოხდა, რომ ის წარმატებული მასწავლებელი გახდა? ვინ და როგორ ამოიყვანა დანიელ პენაკი დაბალი თვითშეფასების ფსკერიდან? როგორც თავად უწოდებს – *„მხსნელმა მასწავლებელმა“.* ადამიანმა, რომელმაც დაიფასა პენაკის ნიჭი, დაინახა მისი დადებითი პიროვნული თვისებები და შეარჩია სწორი პედაგოგიური მიდგომები, რომელთა ერთობლიობამ მოსწავლის გარდაქმნა განაპირობა. მას გაუჩნდა აღიარების, დაფასებისა და დაცულობის განცდა.

როგორც ვხედავთ, თუ თვითშემეცნების პროცესში მოზარდს შესაბამისი გარემო და დახმარება ექნება, ის ხდება თავდაჯერებული, შეიცნობს საკუთარ შესაძლებლობებს, ახდენს თვითრეალიზაციას და ეხმარება სხვებსაც. ხოლო თუ ამ მნიშვნელოვან ეტაპზე, მოზარდი ვერ იპოვის საკუთარ თავში ძალას და არც შესაბამისი გარემო-პირობები ექნება, მისი თვითშეფასება ეცემა და თვითრეალიზაციას ვერ ახერხებს.

ვფიქრობ, მასწავლებლებმა უნდა შეძლონ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, მათი ძლიერი მხარეების წარმოჩენა, შექება-წახალისების გზით თვითშეფასების ამაღლება, ყოველივე ეს კი მათი თვითშემეცნების პროცესს გაამარტივებს.

ამ მხრივ, საინტერესოა, ანიტა ვულფოკის რჩევები მასწავლებლებისათვის:

- დააფასეთ და მიიღეთ ყველა მოსწავლე, მათი მცდელობები და მიღწევები.
- შექმენით ფიზიკურად და ფსიქიკურად უსაფრთხო საკლასო გარემო.
- ერთად შექმენით და ჩამოაყალიბეთ შეფასების კრიტერიუმები.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს, ისწავლონ საკუთარი მიღწევების შეფასება.
- მოერიდეთ დესტრუქციულ შედარებებსა და შეჯიბრებებს. წააქეზეთ მოსწავლე, რომ შეეჯიბროს საკუთარი მიღწევის უმაღლეს დონეს.
- გააკრიტიკეთ არასასურველი ქცევა და არა მოსწავლის პიროვნება. შენიშვნის მიღება მოსწავლისათვის არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის „ცუდი“ ადამიანია.
- გახსოვდეთ, რომ პოზიტიურ თვითშეფასებას განაპირობებს წარმატებები და გარემომცველ სამყაროში არსებული ადამიანების მიერ დაფასება.
- დაეხმარეთ, იგრძნონ პასუხისმგებლობა თავიანთ ქცევებზე.
- ასწავლეთ, როგორ დაეხმარონ ერთმანეთს.
- ასწავლეთ, როგორ დაისახონ რეალური მიზნები.
- ხაზი გაუსვით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ფასეულობებს.

დაბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთარი თავის შეცნობა მნიშვნელოვნად განაპირობებს თვითშეფასებას. თვითშეფასება კი ისეთივე მნიშვნელოვანია პიროვნების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციის პროცესში, როგორც ხერხემალი ადამიანის სხეულისათვის.

ადამიანის ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბების პროცესში საზოგადოების პოზიტიური ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გულწრფელობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ემპათია წარმოადგენს წყალს, მზეს და საკვებს, რომლებიც ადამიანებს ეხმარება, მუხასავით ძლიერები გაიზარდონ. ძლიერი ადამიანები – ძლიერი საზოგადოების საწინდარია, ძლიერი საზოგადოება კი ჩვენს კეთილდღეობას მნიშვნელოვნად განაპირობებს.

ნათია ჭუმბურიძე

info | www.akhaliganatleba.ge

COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში გაეროს ბავშვთა ფონდი ახალგაზრდებს ჩართავს

გაეროს ბავშვთა ფონდი იწყებს კიდევ ერთ პროექტს, რომლის ფარგლებში ახალგაზრდები COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში ჩაებმებიან. შემდეგი 5 თვის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით შერჩეული და მომზადებული 60 „ჯანმრთელობის ახალგაზრდა ელჩი“ მონაწილეობას მიიღებს COVID-19-ისგან თავდაცვისათვის საჭირო ონლაინ მასალის შექმნაში და, შემდგომში, საკუთარ მეგობრებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის გავრცელებაში. ეს დაეხმარება საზოგადოებას სანდო, უსაფრთხო გზავნილების მიღებასა და COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

პროექტის განხორციელებისათვის გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს გაეროს ასოციაციასთან ითანამშრომლებს. საქართველოს გაეროს ასოციაცია გეგმავს, COVID-19-ის წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო კამპანიაში ჩართოს, ინფორმაცია მიაწოდოს და გააძლიეროს ახალგაზრდები, რომლებიც გასავრცელებელი მასალის შექმნაშიც მიიღებენ მონაწილეობას.

შერჩეული ახალგაზრდები პანდემიასთან დაკავშირებულ სიღრმისეულ ტრენინგს გაივლიან. ისინი, ასევე, შეისწავლიან ინფორმაციის გაზიარების მეთოდებს, აიმაღლებენ მედია წიგნიერებას და გაეცნობიან ყალბი ინფორმაციისაგან თავდაცვის მექანიზმებს.

აღნიშნული ახალგაზრდები ჩაერთვებიან სამენოვანი (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური) სოციალური მედია მასალის მომზადებაში, სადაც თავმოყრილი იქნება მზა ტექსტები, ბმულები, ფოტოები, ვიდეო და სხვა ტიპის მასალა, რაც მათ პანდემიის შესახებ დროული და ეფექტური ინფორმაციის გავრცელებაში დაეხმარება როგორც მეგობრებს, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

ამასთანავე, ახალგაზრდა ელჩები ჩართული იქნებიან COVID-19-თან დაკავშირებული ინფოგრაფიკებისა და პოსტერების დამზადებაში, რაც მნახველს დაეხმარება, უფრო ნათლად აღიქვას ვირუსის რისკები.

ახალგაზრდებს დაეხმარებიან, სხვადასხვა სოციალურ მედია პლატფორმაზე პოპულარული, თანატოლი ინფლუენსერები, რათა უფრო ფართოდ გავრცელდეს COVID-19-სგან თავდაცვის მეთოდები და მასალა, რომელსაც ახალგაზრდა ელჩები პროექტის ფარგლებში შექმნიან.

„ამ ეტაპზე, პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისი ისევ ძლიერია და საფრთხის ქვეშ არის საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის ყველაზე დაუცველებიც. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო საინფორმაციო კამპანიაში ჩართული იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები. ახალგაზრდებს კი, რომლებიც საზოგადოების ყველაზე გავლენიანი ჯგუფია, შეუძლიათ იყვნენ ქცევის გამავრცელებლები არა მხოლოდ საკუთარ თანატოლებთან, არამედ საზოგადოების დანარჩენ წევრებს შორისაც.“ – აცხადებენ გაეროს ბავშვთა ფონდში.

გაეროს ბავშვთა ფონდი, რისკის კომუნიკაციისა და ადვოკატირების მიმართულებით, აგრძელებს COVID-19-ის წინააღმდეგ საზოგადოების ინფორმირების კამპანიების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით, ყველა ასაკის ბავშვის მშობელი იღებს ინფორმაციას, პანდემიის პირობებში, როგორ გააუმჯობესოს კომუნიკაცია შვილებთან. ამასთანავე, რეგიონებში მაცხოვრებლები ყოველდღიურად იღებენ COVID-19-თან დაკავშირებულ ახალ ამბებს.

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა დაწყებითი კლასების ბრწყინვალე მასწავლებელი, საუკეთესო მწიგნობარი და დეკლამატორი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგი, ქალბატონი

ცისანა მჭედლიშვილი

და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და მის აღზრდილ თითოეულ მოსწავლეს.

ПРОФЕСИА ПЕДАГОГИ

მასწავლებლობა ხომ მარტო საგნის კარგად ცოდნა არ არის

რუბრიკის სტუმარია **ნინო დანელია**
მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნწის საჯარო სკოლის მასწავლებელი

მოკლე წარდგენა

დავიბადე მარტვილის რაიონში, სოფელ ხუნწში, ვსწავლობდი და დავამთავრე ხუნწის საჯარო სკოლა. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ხუნწის საჯარო სკოლაში დავიწყე მუშაობა, დაწყებითი კლასის მასწავლებლად. 2013 წელს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში გავაგრძელე მუშაობა, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტად, მარტვილის მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლაში ვიყავი დამკვირვებელი. 2017 წელს ეს მიმართულება გაუქმდა და მას შემდეგ, ამ საგანს ხუნწის საჯარო სკოლის IX-XI კლასებში ვასწავლი. ასევე, ზედა ხუნწის საჯარო სკოლაში ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

პროფესია მასწავლებელი

როდესაც სკოლაში შევედი და ჩემს პირველ მასწავლებელს შევხვდი, ვთქვი, რომ მეც აუცილებლად მასწავლებელი გავხდებოდი. მშობლები და გარშემომყოფები მირჩევდნენ, ექიმის ან ჟურნალისტის პროფესია ამერჩია. როცა პროფესიული არჩევანის წინაშე დავდექი, აღმოვაჩინე, რომ ბავშვობაში არჩეულ პროფესიაზე აზრი არასდროს შემიცვლია, ეს იყო ის, რაც ნამდვილად მინდოდა. ვთვლი, რომ ჩემი პროფესიის განსაზღვრა იმ მასწავლებლის დამსახურებაა, რომელიც არა მარტო თავისი საგნის მცოდნე იყო, არამედ არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც მთელი გულით უყვარდა მოსწავლეები, მშობელი დედასავით უვლიდა თითოეულ მათგანს და სიყვარულს ყველას თანაბრად უნაწილებდა.

მასწავლებლობა მარტო საგნის კარგად ცოდნა ხომ არ არის, ის ბავშვებში იმედის გაჩენას, სწავლის სიყვარულის ჩანერგვას და მომავალი გზის გაკვალვაში დახმარებას ნიშნავს. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეს ცხოვრება გაუადვილოს, შეუცვალოს, მთავარ ღირებულებებზე დააფიქროს, ამას თუ არ ცდილობს, განა ის ნამდვილი მასწავლებელია?! მოსწავლეებს უნდა დავანახოთ, რომ ცხოვრება შეიძლება სევდიანიც იყოს, მხიარულიც, უცნაურიც, იდუმალიც, რომ ის ჭრელია და რაც მთავარია, ამ სიჭრელეში თავიანთი ფერის პოვნაში დავეხმაროთ. უნდა ვასწავლოთ, რომ თუ არ დავეცით, ვერასოდეს ავდგებით, ამიტომ დაცემა ზოგჯერ საჭიროც კია... ამდენ რამეს რომ ვასწავლით ბავშვებს, ამიტომაცაა მასწავლებლის პროფესია იდუმალი, საინტერესო, რთული და ჯადოსნურიც კი.

წარმატებული პედაგოგი

წარმატებული პედაგოგობა ჩემთვის კარიერულ სტატუსს (უფროსი, წამყვანი, მენტორი) ნამდვილად არ ნიშნავს, წარმატებული მაშინ ხარ, როცა მოსწავლეებს უყვარხარ და გიყვარს, ბავშვებზე ფიქრში იძინებ და იღვიძებ, ფიქრობ, როგორ გაახარო, ყველაფერს აკეთებ მოსწავლის ღიმილიანი გამოხედვისთვის და მისთვის ფერადი სამყაროს შესაქმნელად. მასწავლებლობა ჩემთვის მეგობრობასაც ნიშნავს, ნამდვილს, გულწრფელს, დიდის და პატარას უღალატო მეგობრობას. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება მოსწავლეების სიყვარულით სავსე მზერის დანახვაა, ლამაზი თვალებით ყურებაა, სულ რომ შემოგციმციმებენ. როცა რაიმეს აშენებ, სიყვარულს იმკი, ამას დიდი დრო სჭირდება, დანგრევას და დაკარგვას კი, სულ მცირე დროც ჰყოფნის, ამიტომ, ჩემი მიზანია, მთელი ცხოვრება შევინარჩუნო მათი სიყვარული, პატივისცემა.

თანამედროვეობა და მასწავლებელი

XXI საუკუნე გამოწვევების და უამრავი სიახლის საუკუნეა, რომელზეც ფეხის აწყობა მოგვიწია. თუ ამ გამოწვევებს ღირსეულად არ ვუპასუხეთ, ვერასდროს ვიქნებით თანამედროვე მოსწავლეების მასწავლებელი. მათ უამრავი კითხვა აქვთ, სიახლის ძიებაში არიან და მაქსიმალურად მომზადებული უნდა შეხვიდე მათთან, რათა ნებისმიერი ინტერესის სფერო დააკმაყოფილო. ამისთვის ის არ კმარა, რასაც წლების წინ უნივერსიტეტში გვასწავლიდნენ, ჩვენც უნდა ვისწავლოთ, თან ვისწავლოთ ისე კარგად, რომ თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მათთან ურთიერთობისას არასდროს შემქმნია პრობლემა, რადგან ვთვლი, რომ მათი უსიტყვოდ უნდა მესმოდეს, გამოხედვაში უნდა ვგრძნობდე, რა სურთ და აუცილებლად უნდა ვაკმაყოფილებდე მათ სურვილებს. რაც შეეხება პროფესიულ განვითარებას, ვფიქრობ, მასწავლებლობა ის პროფესიაა, რომელსაც მუდმივად სჭირდება განვითარება. სიახლის ძიების პროცესში აუცილებლად უნდა იზრუნო კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თვითგანვითარებაზე.

არ ვფიქრობ, რომ მასწავლებლის პროფესია ნაკლებ პოპულარულია, ალბათ იმიტომ, რომ მე მიყვარს მასწავლებლობა და ამ პროფესიას სხვა თვალით ვუყურებ. შეიძლება, ვისაც ფინანსური დაინტერესება აქვს ამ სფეროში, ასე მოეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობ, დღეს, საქართველოში, მასწავლებელი ამ კუთხითაც დაფასებულია.

მოგეხსენებათ, არსებობს მასწავლებლის ეროვნული ჯილდო, რომელზეც ბევრ კარგ მასწავლებელს წარადგენენ, ყოველთვის ღირსეულზე ღირსეული იმარჯვებს. ყველა კონკურსს მხოლოდ ერთი გამარჯვებული ჰყავს, მაგრამ მონაწილეებიც გამარჯვებულები არიან, რადგან მათ მთელი საქართველო და მსოფლიო იცნობს, ნუთუ ეს არ არის მასწავლებლის პოპულარიზაცია?!

არასტანდარტული გაკვეთილი

დღეს მასწავლებელს ყველანაირი რესურსი და შესაძლებლობა აქვს, რომ მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით გაჯერებული იყოს, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციას გაზრდის. ხშირად მიწევს არასტანდარტული გაკვეთილების ჩატარება, გაწერილი გეგმიდანაც ხშირად ვუხვევ – რადგან 21-ე საუკუნის თაობასთან მიწევს ურთიერთობა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპრომტად ვცვლი ხოლმე გეგმას, ეს კი გაკვეთილებს მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესოს ხდის.

„ცხოვრებისეული დისციპლინის“ სწავლება სკოლაში

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ და იცნობდნენ ცხოვრებისეულ დისციპლინებს, რომლის სწავლება მხოლოდ, მაგალითად, ქართულის ან მათემატიკის, გაკვეთილზე არ ესწრება. მოსწავლე რომ კარგ მოქალაქედ აღიზარდოს, საჭიროა მისი სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა. სწორედ ამან მოითხოვა, რომ მოსწავლეებს, დაწყებითი საფეხურიდანვე, დეტალებში შეესწავლათ ცხოვრებისეული დისციპლინის საკითხები. ამას „მე და საზოგადოების“ გაკვეთილზე ახერხებენ, პრაქტიკული მაგალითებიდან გამომდინარე. მე და ჩემი მოსწავლეები, ყველა გაკვეთილზე, ვცდილობთ, თეორიული საკითხები პრაქტიკულად შევასრულოთ, ეს მათთვის ძალიან საინტერესო და სახალისოა, მთელი გულისყურით ეცნობიან თითოეულ თემას და დარწმუნებული ვარ, არასდროს დაივიწყებენ.

რაც შეეხება სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სწავლებას, უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო, არასდროს დავიღლები ბავშვებთან ამ თემაზე საუბრით, რადგან მათი კარიერული არჩევანი მათივე გადასაწყვეტია და ეს კარგად უნდა გაიაზრონ. იმაზე, თუ რამდენად სწორად გათვლიან და აირჩევენ პროფესიას, ხომ მთელი მათი ცხოვრებაა დამოკიდებული. უნდა დაიმსხვრეს ძველი ე.წ. სტერეოტიპი – „ექიმის შვილმა აუცილებლად საექიმოზე უნდა ჩაბარეს“, „ჩემს შვილს აუცილებლად უმაღლესის დიპლომი უნდა ჰქონდეს“, „პროფესიულ სასწავლებელში მხოლოდ უცოდინრები მიდიან, იქ ჩემს შვილს როგორ ვასწავლი?!“ და ა.შ.

ვმუშაობ ბავშვებთან, ვმუშაობ მშობლებთანაც, რომ მათაც კარგად გაიაზრონ, ეს შვილების მომავალია და არა მათი. ბავშვებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, პირველ რიგში, რა სურთ და რა სიამოვნებთ, შემდეგ – შეუძლიათ თუ არა ამა თუ იმ საქმის კეთება და რამდენად მოთხოვნადია შრომის ბაზარზე მათ მიერ შერჩეული პროფესია. ამ საგნის სწავლება სკოლაში აუცილებელი და დროულიც კი იყო, დამერწმუნეთ, ბევრ მოსწავლეს შეაცვლევინა აზრი, ბევრი სტერეოტიპიც დაამსხვრია და პროფესიული არჩევანის კუთხით, თავისუფლად აზროვნების შესაძლებლობა მისცა.

მე, ჩემი სკოლა, დირექცია მაქსიმალურს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კიდევ უფრო მეტი გაიგონ შრომის ბაზრის შესახებ – ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა დაწესებულებებში, ქარხნებში, უნივერსიტეტებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში; მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ადამიანებს და მათგანაც იგებენ ინფორმაციას პროფესიების შესახებ. მჯერა, თანამედროვე ახალგაზრდების მიერ შექმნილი პროდუქცია საკმაოდ ხარისხიანი იქნება, რადგან ისინი იმ საქმეს ირჩევენ, რაც უყვართ...

თითქმის ყველა საგნის სპეციალისტი გვყავს სკოლაში, მაგრამ ზოგადად, მეზობელი სკოლების მაგალითზე, მინდა გითხრათ, რომ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია – იმ საგანთა ჩამონათვალია, რომელთა მასწავლებლების სიმცირეც აღინიშნება.

მასწავლებელი სკოლის მიღმა

ძალიან მიყვარს ექსკურსიები, ჩემი ქვეყნის ლამაზი ადგილების დათვალიერება, ხელსაყრელ დროს და პირობებში. ყოველთვის ვცდილობ, წავიყვანო მოსწავლეები და მათთან ერთად დავტკბე საქართველოს სილამაზითა და მშვენიერებით.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

მითჩელ ფანკის ფოტოგრაფიაში ასახული პანდემია

მითჩელ ფანკი ნიუ-იორკში დაიბადა, 1950 წელს. 16 წლის იყო, როცა ფოტოგრაფიამ გაიტაცა, სამიოდე წლის შემდეგ უკვე მხატვრულ ფოტოსურათებზე გადავიდა და პირველი პორტფოლიოც მიიღო ერთ-ერთი ფოტო-ჟურნალის რედაქციაში, რომლის რედაქტორსაც ასაკი დაუმალა, შიშობდა, ასაკის სიმცირის გამო, არასერიოზულად მიიღებდნენ. მას შემდეგ მისი ექსპერიმენტების უცვლელი ობიექტია ნიუ-იორკი. უკვე 40 წელია, მისი ფერადოვანი სურათები ამშვენებენ ცნობილი ჟურნალების (მათ შორის, Modern Photography და New York Magazine) გარეკანებს.

შეიძლება ითქვას, რომ მითჩელ ფანკი ამერიკული ფერადი ფოტოგრაფიის პიონერია. მისი ფოტოები აერთიანებს ქუჩის და სტუდიურ კადრებს. არტისტის ესთეტიკა, რეალისტურ-დოკუმენტური გამომსახველობის მიღმა, ინტენსიურად ეძებს და ავითარებს აბსტრაქტულ ნიშნებს ციფრულ სამყაროში. მისი ფოტოების მახასიათებელია ხაზგასმით მკვეთრი ფერადი ფოტორეზოლუცია.

ფანკი 1970 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში და იფინება წამყვან მუზეუმებსა და გალერეებში. მისი გამოფენებიდან მნიშვნელოვანია ბრუკლინის მუზეუმის შოუ – „გამოსახულება ფერებში", ასევე ამონ კარტერის მუზეუმის – „ფერი! ამერიკული ფოტოგრაფიის შემცველი". მას ეკუთვნის 50-ზე მეტი ჟურნალის გარეკანის ფოტო.

მითჩელ ფანკის შემოქმედებაში კოვიდ 19-ის პანდემიაც აისახა, როგორც დოკუმენტური და მხატვრული რეალობა. ამ შემთხვევაშიც, მის ნამუშევრებში წამყვანია მკვეთრად ფერადი ფოტორეზოლუცია.

ბლიც ინტერვიუ

✓ როდის მიხვდით, რომ შემოქმედებითი გზა უნდა აგერჩიათ? – *სკოლის დამთავრებისთანავე. მაშინ ბევრი ჟურნალი იყო მომხიბვლელი გარეკანებით, წარმოუდგენელი იყო ფერადი ისტორიების მომაჯადოებელი სამყარო. ფერმა იმდენად მომხიბლა, რომ სამუდამოდ გამიტაცა. გარდა ამისა, ძალიან დიდი გამოცდილება შემძინა ლუმეტის ფილმმა „მევახშე", თავისი მკაცრი და მძიმე რეალიზმით. ამ ფილმმა სოციალური პრობლემების ყველა ტაბუ დაარღვია.*

✓ რა არის თქვენი შთაგონების წყარო? – *შთამაგონებს სინათლის უსასრულო ვარიაციები და განსხვავებულ ფორმებზე მისი ანარეკლები. შეიძლება ერთი და იმავე ადგილას, ერთი და იგივე რამ უამრავჯერ გადავიღო და განათება ყოველთვის განსხვავებული იქნება.*

✓ რომ შეგეძლოთ თანამედროვე ხელოვნების ნებისმიერი ნიმუშის მფლობელი გახდეთ, რომელს აირჩევდით? – *ჯორჯ ტუკერის „მეტროს".*

ჯორჯ ტუკერი, „მეტრო“

პირველად 1968 წელს ვნახე, როდესაც ჟურნალში „Avant Garde" ამ მხატვრის პორტფოლიო გამოქვეყნდა. სურათის დანახვისას, დღესაც ისეთივე ემოცია მეუფლება, როგორც პირველად ნახვისას.



ახალი განათლება

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.